წერილი N04

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

საკოორდინაციო საბჭოს ძვირფასო წევრებო

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ დამოკიდებულების კვლევით ცენტრ „ალტერნატივა ჯორჯიას“ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შეაქვს პროექტი **„ინოვაციური და მდგრადი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შექმნა აივ-ინფექციის და ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში“**(Developing an innovative and sustainable e-learning platform for HIV and TB professionals in Eastern Europe) კონკურსის ფარგლებში, რომელიც გამოცხადდა „5%-იანი ინიციატივის“ მიერ (AP-5PC -2019 – 01 (HSS)). სამწლიანი პროექტის მიზანია გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობა და ადამიანური რესურსების გაძლიერებისათვის ნაკლებად ძვირადღირებული და მდგრადი მიდგომების შექმნა. ამ მიზნით პროექტი ითვალისწინებს აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის სფეროში დასაქმებულ პირთა პროფესიული გადამზადების/განგრძობადი განათლების მხარდაჭერას ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მდგრადი გარემოს განვითარების გზით სამ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში - უკრაინა, საქართველო, მოლდოვა. პროექტის სამი ძირითადი განმახორციელებლი ორგანიზაციაა: *უკრაინის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი (Ukrainian Institute of Public Health Policy), ჯანდაცვის და კვლევების ცენტრი (მოლდოვა)(Center for Health Policies and Studies (PAS, Moldova)) და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი, ალტერნატივა ჯორჯია.*

პროექტმა უკვე წარმატებით გაიარა შერჩევის პირველი ეტაპი და მივიღეთ მოწვევა, მოვამზადოთ პროექტის სრული განაცხადი. გვჯერა, რომ პროექტი სრულ თანხვედრაშია საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვასთან 2030 წლისათვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. კერძოდ, პროექტი პასუხობს ქვეყნის მიერ გაცხადებული 5 პრიორიტეტიდან პირველ ორს: მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, და მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრი. ამის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ პროექტი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოზე და გამოხატოთ მხარდაჭერა, რომელიც საჭიროა პროექტის სრული განაცხადის შესატანად.
დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პროექტის აბსტრაქტი (დანართი 1). საჭიროებისამებრ, პროექტის გუნდი ასევე მზად არის, უპასუხოს თქვენს კითხვებს.

პატივისცემით,
ა(ა)იპ ალტერნატივა ჯორჯიას
აღმასრულებელი დირექტორი

დავით ოთიაშვილი 15/07/2019

დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი
ნუცუბიძის 14ა, ოფისი #2
0177 თბილისი, საქართველო

Addiction Research Centre
14a Nutsubidze STR, office #2
0177 Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 239 11 66
Fax: (+995 32) 239 66 99
www.altgeorgia.ge

ALTERNATIVE GEORGIA

დანართი#1

ინოვაციური და მდგრადი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შექმნა აივ-ინფექციის და ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში

აბსტრაქტი

ადეკვატურად დატრენინგებული ადამიანური რესურსის არსებობა მნიშვნელოვანი კომპონენტია აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის ეროვნული რეაგირების გრძელვადიანი მდგრადობისათვის და გლობალური ფონდის მიერ განისაზღვრა, როგორც ქვეყნების მასშტაბით მისი ინტერვენციებისათვი/მხარდაჭერისათვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ტრენინგ-პროგრამა არის ხელმისაწვდომი, სფეროში დასაქმებულთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი პირველადი ჯანდაცვის და ველზე მომუშავე რგოლის წარმომადგენლებს, არ აქვთ ადეკვატური წვდომა შესაბამის და მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამებზე. ტრადიციული, პირისპირი ტრენინგებისგან განსხვავებით, ინოვაციური ელექტრონული სწავლების მოდელები არ საჭიროებს ადამიანების მიყვანას კონკრეტული ტრენინგის ჩატარების ადგილას და ეფექტურად გადასცემს ცოდნას იმ სივრცეში, სადაც ეს ადამიანები საქმიანობენ.

<u>სამწლიანი პროექტის მთავარი ამოცანაა აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე ადამიანების ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა</u> მდგრადი ელექტრონული სწავლების (ე.წ. e-learning) გარემოს, ინფრასტრუქტურის, განგრძობადი პროფესიული განათლების განვითარების გზით სამ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში - უკრაინა, საქართველო, მოლდოვა. ამ ქვეყნებს აივ/შიდსი-ს და ტუბერკულოზის ეპიდემიების თვალსაზრისით ბევრი საერთო მახასიათებელი აქვთ. სამივე ქვეყანა იმყოფება გლობალური ფონდის მიერ აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის პროგრამების დაფინანსებიდან ეროვნულ დაფინანსებაზე ტრანზიციის პერიოდში. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები იქნებიან აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე პროფესიონალები, რომელიც მოიცავს როგორც მედიცინის მუშაკებს (ექიმებს და ექთნებს), ასევე, არასამედიცინო პერსონალს (ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს, აუთრიჩ მუშაკებს, თანასწორ განმანათლებლებს). პროექტი ამასთანავე სარგებელს სთავაზობს სტუდენტებს, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა დასაქმდნენ აივ-ინფექციის და ტუბერკულოზის სფეროში. საწყის ეტაპზე მოხდება ტრენინგების საჭიროებების შეფასება, რათა გამოვლინდეს მაღალი პრიორიტეტის სამიზნე ჯგუფები, კონკრეტული თემები და საგანმანათლებლო მოდულების შინაარსი, სასწავლო კურსების მოცულობა და ფორმატი, რომლებიც საუკეთესოდ მოერგება ონლაინ ტრენინგის პოტენციურ მონაწილეთა საჭიროებებსა და მოლოდინებს. ეს მოიცავს არსებული ტრენინგ-კურსების და რესურსების, ტრადიციული და ელ-სწავლების რესურსების სიღრმისეულ მიმოხილვას და ინვენტარიზაციას. შემდეგ მოვიწვევთ მულტი-ეროვნულ ექსპერტთა გუნდს, რათა შევქმნათ ან განვაახლოთ ელ-სწავლების მოდულების შინაარსი სამ ენაზე უკრაინულად, ქართულად და რუმინულად (მოლდოველებისთვის). ასევე მასალები გადაითარგმნება რუსულად, რათა ამ მიდგომის რეპლიკაცია შესაძლებელი სასარგებლო იყოს სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვისაც, სადაც რუსული ენა რჩება ხშირად გამოყენებად ენად. სულ იგეგმება მინიმუმ 30 სასწავლო მოდულის შექმნა. მოსალოდნელია რომ

პროექტის ბენეფიციარების (მსწავლელების) მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებიან სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასევე, იგეგმება 15 (30-დან) ონლაინ-კურსის ადაპტირება სტუდენტებისთვის, რომლებიც ეუფლებიან პროფესიებს შესაბამის სპეციალობებში - მედიცინა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციალური მუშაობა, და სხვა. ჩვენ ვიმუშავებთ ეროვნულ პროფესიულ ასოციაციებთან და შესაბამის მარეგულირებელ ინსტიტუტებთან (ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან) სამივე ქვეყანაში, რათა მოხდეს შემუშავებული კურსების აკრედიტაცია და/ან განგრძობადი სამედიცინო განათლების კურიკულუმში შეტანა.

პროექტის სამი ძირითადი განმახორციელებელი ორგანიზაციაა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის უკრაინის ინსტიტუტი, ჯანდაცვის და კვლევების ცენტრი (მოლდოვა) და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი, ალტერნატივა ჯორჯია. **თითოეულ ქვეყანაში პროექტის კონსორციუმი შემდგარი იქნება აკადემიური ინსტიტუტებისგან და შესაბამისი პროფესიული ასოციაციისგან როგორც ასოცირებული პარტნიორები.**

დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი
ნუცუბიძის 14ა, ოფისი #2
0177 თბილისი, საქართველო

Addiction Research Centre
14a Nutsubidze STR, office #2
0177 Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 239 11 66
Fax: (+995 32) 239 66 99
www.altgeorgia.ge

ALTERNATIVE GEORGIA